

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №2-3 (9-10) 2012

## პირველი უნივერსიტეტი - ჩემი პირველი არჩევანი



*2011 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2560-მა ბაკალავრმა დაამთავრა. 2012 წელს 2400 სტუდენტი ემზადება თსუ-ის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. 2012 წელს თსუ 4550 პირველკურსელს ელოდება.*

## რატომ უნივერსიტეტი?



*აბიტურიენტებს ამ დღეებში მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოუწევთ – მათ მომავალი პროფესია და ის უნივერსიტეტი უნდა შეარჩიონ, სადაც ამ პროფესიას დაეუფლებიან. თსუ-ში მომავალი აბიტურიენტებისთვის არსებული შესაძლებლობების შესახებ გაზეთი “უნივერსიტეტი” თსუ-ის რექტორს – ალექსანდრე კვიტაშვილს ესაუბრა:*

***– აბიტურიენტი რომ იყოთ, რატომ შეაჩერებდით დღეს არჩევანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე?***

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პირველი უნივერსიტეტი საქართველოში – ყველაზე დიდი ისტორიის მქონე უმაღლესი სასწავლებელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საუნივერსიტეტო ტრადიციის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება და ამ ტრადიციის საფუძველზე ახალიც უფრო სწრაფად ვითარდება. ამიტომ, ამ კუთხით, უნივერსიტეტს ძალიან დიდი უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით. თუნდაც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერე-

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## სტუდენტი და მეცნიერება თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი და უმსხვილესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია. სწორედ ამიტომ, თსუ-ის სტუდენტებს აქ სამეცნიერო კვლევებში ჩართვის დიდი შესაძლებლობები აქვთ.

თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის პროფ. გიორგი ღვედაშვილის ინფორმაციით თსუ-ში ამჟამად 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება, მათ შორის – 148 ეროვნული, 85 - საერთაშორისო. აღნიშნულ სამეცნიერო პროექტებში ჩართულები არიან სტუდენტები, რომლებსაც პერსპექტივაში თავადაც შეუძლიათ გრანტების მოპოვება.

“ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი შემთხვევა, როცა გამარჯვებულ პროექტებში მონაწილეობენ სტუდენტები. ასეთი სტუდენტი ძალიან ბევრია. მაგალითად ნატოს მიერ დაფინანსებულ პროექტში სტუდენტები გვყავდა ჩართულები. უნივერსიტეტს 2010 წელს შემოუერთდა 15 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რამაც უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი კიდევ უფრო გაზარდა. ამას გარდა, მოგეხსენებათ რომ, ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს სხვადასხვა ტიპის კონკურსებს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. მაგალითად: პრეზიდენტის გრანტი, ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების კონკურსები, სადაც მაგისტრანტს ან დოქტორანტს შეუძლია მონაწილეობის მიღება. ბაკალავრებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დიდ კვლევით პროექტებში, რომელიც უნივერსიტეტის სახელით არის წარდგენილი”. – ამბობს გიორგი ღვედაშვილი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული. მაგალითად, 2011 წელს გამოცხადებული სამეცნიერო კონკურსების შედეგების მხოლოდ ნაწილია დღეისთვის ცნობილი. ამ შედეგებიდანაც ჩანს, რომ უნივერსიტეტი ტრადიციულად ლიდერია:

ქართველ და იტალიელ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშემწყობი კონკურსის შედეგები: კონკურსში მონაწილე 11 განაცხადიდან დასაფინანსებლად შეირჩა 5 პროექტი, აქედან 4 პროექტი თსუ-დან.

სსიპ–შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2011 წლის კონკურსის შედეგები: კონკურსის შედეგად დაფინანსებისთვის შეირჩა 3 პროექტი, აქედან 2 თსუ-იდან;

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების მეორე ეტაპზე გავიდა 21 პროექტი, აქედან 9 თსუ-დან.

საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგად თსუ-დან 2 პროექტი დაფინანსდა.

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში მარტი-აპრილის თვეებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის 15 მეცნიერი დაფინანსდა. შემოსული 45 განაცხადიდან საკონკურსო კომისიამ დასაფინანსებლად 15 მეცნიერი შეარჩია, აქედან 9 თსუ-დან.

საზღვარგარეთ არსებული

***გაგრძელება მე-5 გვ.***

## ღია კარის დღეები

3–4 მარტს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია კარის დღეები გაიმართება.

3 მარტი

11.00 სთ. – ტურიზმის საერთაშორისო სკოლა
12.00 სთ. – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
14.00 სთ. – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
16.00 სთ. – მედიცინის ფაკულტეტი

4 მარტი

12.00 სთ. – იურიდიული ფაკულტეტი
14.00 სთ. – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
16.00 სთ. – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პრეზენტაციები ჩატარდება თსუ–ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში.

**ერთიანი ეროვნული გამოცდები აბიტურიენტთა ცნობარი**

იხ. გვ. 7

## თსუ-ის უნიკალური ბიბლიოთეკა და მუზეუმი



**გვ. 5**

## საერთაშორისო ურთიერთობები

### საზღვარგარეთ სწავლების პერსპექტივა აბიტურიენტთათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსოფლიოს მასშტაბით 300 პარტნიორი უმაღლესი სასწავლებელი ჰყავს, რომლებთანაც სამეცნიერო კვლევების კუთხით თუ გაცვლითი პროგრამების მხრივ თანამშრომლობს.

**გვ. 7**

## კულტურა და სპორტი უნივერსიტეტში





**გვ. 8**

# რატომ უნივერსიტეტი?

პირველი გვერდიდან



ბები – სწორედ თსუ-ში ჩამოყალიბდა და განვითარდა მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის ა.შ. დიდი სკოლები. ეს მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და ტრადიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასიკური უნივერსიტეტის ჩამოყალიბების პროცესში.

ძველი, კლასიკური განათლებისა და თანამედროვე მოთხოვნების შეჯერების სიმბოლოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განახლებული პირველი კორპუსი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კორპუსი 111 წლისაა, ის თანამედროვე პრინციპებით და ტექნოლოგიებით არის მოწყობილი. სწორედ ესაა ჩვენი პრინციპი – ჩვენ, ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, გვსურს შევინარჩუნოთ ტრადიცია და, ამასთან ვაჩვენოთ, რომ აქ ძველებურად ან რეგრესულად არ ხდება საქმის კეთება. პირიქით, უნივერსიტეტი ორიენტირებულია მომავალზე და წარმატებაზე.

***– სამეცნიერო კვლევებში ჩართვის რა საშუალებები არსებობს თსუ-ში?***

– უნივერსიტეტში დიდი შესაძლებლობებია მომავალი მკვლევარებისთვის. თსუ-ში არსებული სამეცნიერო პოტენციალი კიდევ უფრო გაძლიერდა 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემოერთების შემდეგ. სტუდენტს, რომელიც ორიენტირებულია კვლევაზე, ჩვენთან საუკეთესო პირობები ექმნება.

ძლიერი სამეცნიერო ბაზები აქვს მაგალითად ფიზიკის ინსტიტუტს, ისევე, როგორც ორგანული და არაორგანული ქიმიის, მათემატიკის, ენათმეცნიერების და ლიტერატურის თუ სხვა ინსტიტუტებს.

საბჭოთა რეალობაში განათლება და მეცნიერება ერთმანეთისგან გამიჯნული იყო. არსებობდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემა, სადაც შედიოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. უნივერსიტეტში ხდებოდა მეცნიერის ჩამოყალიბება გარკვეულ ეტაპამდე, შემდეგ იგი აკადემიიის კვლევით სისტემაში გადადიოდა.

დღეს ეს ორი სფერო გაერთიანდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტს, რომელსაც სურს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში წარმატებას მიაღწიოს, თავიდანვე შეუძლია დიდი სამეცნიერო ქსელის ნაწილი გახდეს.

ბოლო წლებში უნივერსიტეტს არაერთი სამეცნიერო გრანტი აქვს მიღებული. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები იხარჯება მეცნიერების განვითარებაზე, ბაზების განახლებაზე, რაც თავისთავად გულისხმობს სტუდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების უფრო მეტ ჩართულობას კვლევებში.

სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებით მსურს კიდევ აღვნიშნო, რომ იგეგმება უაღრესად საინტერესო პროექტი ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე – მცხეთის რეაქტორის ტერიტორიის რეაბილიტაცია. გვინდა, პირველ ეტაპზე ავამოქმედოთ საზაფხულო სკოლები, შემდგომში კი კამპუსიც. ძალიან ცოტა უნივერსიტეტია მსოფლიოში, რომელსაც ბაზად ბირთვული რეაქტორები აქვს.

***– თქვენ ბაზები ახსენეთ, რამდენადაც ვიცით, თსუ-ს ძალზე სერიოზული საბიბლიოთეკო სისტემა აქვს.***

– ჩვენთან არის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა. ბოლო წლებში კიდევ უფრო გავძლიერდით – დღეს თსუ-ის შემადგენლობაშია აკადემიის ეროვნული ბიბლიოთეკაც, რომელსაც აქვს უზარმაზარი ფონდი. გარდა ამისა, ყველა კორპუსში (პირველი კორპუსის ჩათვლით), ყველა ფაკულტეტს აქვს საკუთარი წიგნადი ფონდი, რომელიც ასევე ჩართულია ერთიან ქსელში. ჩვენი სურვილია უნივერსიტეტი ჩაერთოს მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში. ამას, ალბათ, წლის ბოლომდე მოვახერხებთ. ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ონლაინ-ტექნოლოგიები. სულ მალე დავასრულებთ მოლაპარაკებას ტომპსონის ბაზასთან, რომელსაც აქვს ყველაზე ძლიერი სამეცნიერო რესურსი და ამ რესურსს შევისყიდით.

***– პრაქტიკული სწავლების გავლის რა საშუალებები არსებობს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის?***

– ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს უამრავ კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენი სტუდენტების და მაგისტრანტების დასაქმებით, მათთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით.

სულ ახლახანს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოებრივ მაუწყებელთან, რის შედეგადაც, წარმატებული სტუდენტები მაუწყებელში პროფესიული გამოცდილების მიღებას შეძლებენ.

რთულია უნივერსიტეტის 22 ათასი სტუდენტიდან ყველამ შეძლოს პრაქტიკის გავლა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად გავზარდოთ ამ სტუდენტთა რიცხვი. მაგ.: სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას კლინიკებში, თსუ-ის ინსტიტუტებში გადიან; ჩვენი სტუდენტების ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია საქართველოს ეროვნული ბანკი და ა.შ

***– თანამედროვე მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები.***

– დღეისთვის თსუ-ს 300-მდე მემორანდუმი აქვს გაფორმებული უცხოეთის უნივერსიტეტებთან. აქედან დაახლოებით 100-მდე აქტიურ ფაზაშია და მუშაობს. მხოლოდ გერმანიაში ურთიერთობა 44 უნივერსიტეტთან გვაქვს. აქ იგულისხმება როგორც სტუდენტების გაცვლითი პროგრამები და პროფესურის გაცვლა, ასევე საერთო სამაგისტრო პროგრამები. ვინაიდან ჩვენ გვაქვს პარტნიორული ურთიერთობა წამყვან უნივერსიტეტებთან – ჩვენ სტუდენტებს გზა ხსნილი აქვთ. ასევე გვაქვს კონტაქტები ძალიან ძლიერ სამეცნიერო ცენტრებთან. ცერნის და ატლასის პროექტი ალბათ ყველასთვის კარგად არის ცნობილი. გერმანიაში მჭიდროდ ვთანამშრომლობთ იულიხის ცენტრთან, რომელიც ექსპერტული ფიზიკის ცენტრია. არსებული კონტაქტების საშუალებით, ჩვენს უამრავ კურსდამთავრებულს ეძლევა იქ სწავლის საშუალება. აღსანიშნავია, რომ მაგალითად 2011 წლის ზაფხულში ჩვენ 2 ადამიანი გავაგზავნეთ ცერნიში საზაფხულო ინტერნატურაში. ამ პროგრამაში სულ 10 კაცი მოხვდა და ამ 10-დან 2 ჩვენი უნივერსიტეტიდან იყო.

*ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსულ სტუდენტს ხვდება. მეტი ინფორმაციის მიღება აბიტურიენტებს ჩვენს გაზეთში, ვებ-გვერდზე www.tsu.edu.ge და თსუ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში 3 და 4 მარტს გამართულ ღია კარის დღეებზე შეუძლია.*

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 1918 წელს დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მემკვიდრეა. ამჟამად ის უნივერსიტეტის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი, დიდი სამეცნიერო პოტენციალის მქონე, დინამიკურად განვითარებადი და კონკურენტუნარიანი ფაკულტეტია, რომელზეც სწავლება და კვლევა მიმდინარეობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

ჩვენ გთავაზობთ: სტუდენტზე ორიენტირებულ აკრედიტებულ საგანამანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

საგანმანათლებლო პროგრამები: ძირითადი და დამატებითი საბაკალავრო პროგრამები: ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; ხელოვნებათმცოდნეობა; კულტურის კვლევები; კავკასიოლოგია (ქართ. რუს.); ამერიკისმცოდნეობა.

აღმოსავლეთმცოდნეობა; ფილოლოგია;

მხოლოდ დამატებითი საბაკალავრო პროგრამებია: პედაგოგიკა; თეოლოგია; შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა; გამოყენებითი ენათმეცნიერება.

ბაკლავრიატის სტუდენტს შეუძლია დაუფლოს ერთ ძირითად და ერთ დამატებით სპეციალობას.

ფაკულტეტის უმაღლესი პროფესიული პროგრამები: კინო-ტელე რეჟისორი; ტანაცმლის დიზაინი.

ქართული ენის პროგრამები: ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის; ქართულ ენაში მომზადების პროგრამა სომხურენოვანი სტუდენტებისთვის.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს საშუალება აქვთ, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა განამტკიცონ სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებში. მომავალ არქეოლოგებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ქართველური ენების სპეციალისტებს, ხელოვნებათმცოდნეებს ყოველ ზაფხულს შესაძლებლობა ეძლევათ, გაემგზავრონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, სამეგრელოში, აჭარაში, ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, სამცხე–ჯავახეთში... შეაგროვონ მასალა, შეიძინონ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები, დაათვალიერონ კულტურის ძეგლები და მიიღონ დაუვიწყარი სტუდენტური შთაბეჭდილებები.

გარდა ამისა, ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საველე სამეცნიერო ექსპედიციების დაფინანსებაც. ექსპედიციებში პროფესორ–მასწავლებლებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ბაკლავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები. ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტზე ეწყობა მიმდინარე წლის პრაქტიკისა და ექსპედიციების ანგარიშის განხილვა, რომელზეც წარმოდგენილია უხვი საილუსტრაციო მასალაც ფოტო გამოფენის სახით.

მაგალითად 2011 წელს ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებისთვის მოეყო ექსპედიცია ზემო სვანეთში, სამხრეთ საქართველოში და თურქეთში ისტორიული ტაო–კლარჯეთის ძეგლების გასაცნობად (ხელმძღვანელი ნ. სილაგაძე).

განათლების მეცნიერების და მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან თბილის საჯარო სკოლებში (ყოველწლიურად 35–40 სტუდენტი).

კინო–ტელე ხელოვნების სპეციალობის სტუდენტებს საშუალება აქვთ პრაქტიკა გაიარონ კინოსტუდიებში. სახვითი ხელოვნების სპეციალობის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია საპლანერო მუშაობა (ეტიუდები ღია ცის ქვეშ);

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ ისრგებლონ თსუ პირველ კორპუსში განთავსებული შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზით, რომელშიც 120 000-ზე მეტი წიგნია დაცული ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგიდან. განახლებულ ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი კომპიუტრები (90 ერთეული). ასლის გადამღები აპარატები. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული საძიებო სისტემაც.

გარდა ამისა, ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე სპეციალიზირებული ბიბლიოთეკაც:

სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე; წიგნადი ფონდი 30 000);

ამერიკიმცოდნეობის სასწავლო–სამეცნიერო. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

წიგნადი ფონდი – 5 000;

ლევონ მელიქსეთ–ბეგის სახელობის ფონდი (წიგნადი ფონდი – 15 000;).

ახვლედიანის სახელობის ფონდი (წიგნადი ფონდი – 4 000)

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს/დეპარტამენტს აქვს წიგნების სპეცილიზირებული ფონდი, რომლითაც სარგებლობა შეუძლია შესაბამისი მიმართულების ყველა სტუდენტს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს: არქეოლოგიის სასწავლო ლაბორატორია, სადაც სტუდენტები სწავლობენ არქეოლოგიური მასალის ლაბორატორიულ დამუშავებას (აღწერა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ჩახატვა და ფოტო-გადაღება); სამხატვრო სტუდია; ტელე-კინო ხელოვნების სასწავლო სტუდია „ვარაზი"; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები სტაჟირებას გადიან საქართველოს პარლამენტში, არქივებში, გამომცემლობებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ფაკულტეტზე ეწყობა მრავალი სტუდენტთა ღონისძიება ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, თემატური შეხვედრები, საჯარო ლექციები, ფილმების ჩვენება და განხილვა, სტუდენტური კონკურსები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ყოველწლიურად ტარდება რამდენიმე სტუდენტური კონფრენცია, მათ შორის საერთაშორისო და რეგიონული მნიშვნელობის. 2007 წლის გაზაფხულზე დაარსდა ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა, რომელმაც დაარსების დღიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა. ფაკულტეტზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უცხო ენების სწავლებაზე. 2011 წელს დაარსდა ახალი სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი „მერმისი – სტუდენტური წელიწადეული"; ფაკულტეტზე მუშაობს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საგანმანათლებლო–საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი", რომლის ფარგლებშიც მრავალი სახელმძღვანელო გამოიცა. ფუნქციონირებს ბერძნულენოვანი სტუდენტური თეატრი „ოდეონი".

ეს მხოლოდ ნაწილია იმ შესაძლებლობებისა, რაც თსუ-ის სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხვდებათ.

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად ნერგავს თანამედროვე დასავლური უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიღწევებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შედგება 77 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებისგან, სადაც სტუდენტებს სთავაზობენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. ეს მიმართულებებია: პოლიტიკური მეცნიერება; ჟურნალისტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები; საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციალური მუშაობა; სოციოლოგია-ფსიქოლოგია. საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მიენიჭება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა და 10 კრედიტის შესრულება. გამონაკლისია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებები, სადაც სავალდებულოა 30 კრედიტის შესრულება. ბაკალავრიატის სტუდენტს შეუძლია ინგლისურ ენასთან ერთად მეორე უცხო ენის არჩევაც. ასევე, ფაკულტეტი სტუდენტებს, პირველი სემესტრიდანვე სთავაზობს იმ ენის სპეციალიზებული კურსის გაგრძელებას, რომელიც მათ ჩააბარეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

ფაკულტეტზე დანერგილია პრაქტიკული სწავლების შემდეგი ფორმები:

საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულება – სტუდენტები პრაქტიკას გადიან საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პარლამენტში;

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება – სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოს პარლამენტში;

ჟურნალისტიკის მიმართულება – სტუდენტები პრაქტიკას გადიან საზოგადოებრივ მაუწყებელში, რადიოსადგურებში, რედაქციებში; ასევე საველე პრაქტიკა ხორციელდება კონფლიქტური რეგიონების ახლოს, დევნილებით დასახლებულ რეგიონებში; ყოველწლიურად სტუდენტები ფაკულტეტის რესურსცენტრში დამოუკიდებლად უშვებენ 3 ჟურნალს და 10 გაზეთს, რომელიც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. არსებობს ამ პუბლიკაციების ელექტრო ვარიანტებიც და ასევე გამოდის ელექტრო გაზეთებიც;

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება – წელიწადში ერთხელ სტუდენტებს უტარდებათ საველე პრაქტიკა – ან თბილისის შემოგარენში ან საქართველოს სხვა რეგიონებში(ქ.ბათუმი.).

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება – პრაქტიკა ტარდება სხვადასხვა დაწესებულებაში და სასწავლო პროცესით გაწერილ დაწესებულებებში; მაგალითად, სოცი-

# რატომ უნივერსიტეტი?

ოლოგიური კვლევის ცენტრები, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და ა.შ.

ფსიქოლოგიის მიმართულება – პრაქტიკა ტარდება სხვადასხვა დაწესებულებაში და სასწავლო პროცესით გაწერილ დაწესებულებებში; მაგალითად, სოციალური თერაპიის სახლი, გამოცდების ეროვნული ცენტრი, სააფთიაქო ქსელი – PSP, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და ა.შ.

ფაკულტეტის პროფესორები იყენებენ საველე პრაქტიკის მეთოდებს, კურიკულუმით გაწერილ ძირითად პრაქტიკულ სამუშაოებს სწავლების პროცესს უკავშირებენ, ლექციებზე განიხილავენ პრაქტიკის შედეგებს და ატარებენ პრეზენტაციებს. ასეთი სამუშაოები ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ ზრდას.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ორი ბიბლიოთეკა (მეექვსე, მეოთხე და მესამე კორპუსებში), რომელშიც მოთავსებულია სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა.

რესურსცენტრი არის სამი (მეექვსე, მესამე და მეოთხე კორპუსებში), აქ ტარდება პრაქტიკული სამუშაოები და სტუდენტებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მუშაობა. სულ გამოყენებაშია 60-მდე კომპიუტერი.

მიმართულებებზე ასევე მოქმედებს მინიბიბლიოთეკები.

სტუდენტებს ეძლევათ შანსი მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონკურსებში, რომელიც უცხოეთში სწავლას გულისხმობს. სწავლა ხორციელდება ევროპის და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ევროკავშირის მიერ ჩატარებულ კონფერენციებში, ფორუმებში და თვითონაც ატარებენ საქართველოში საერთაშორისო ტრენინგებს.

სტუდენტები მონაწილეობენ ყოველწლიურ საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში, მაგისტრანტები და დოქტორანტები მეცნიერულ შრომებს აქვეყნებენ ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში. ატარებენ პრეზენტაციებს.

ბაკალავრიატის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში.

ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველთა რაოდენობა ყოველ წელს მატულობს. ასევე ყოველ წელს მაღალი მოსწრების სტუდენტები აბარებენ ფაკულტეტზე.

აბიტურიენტის არჩევანს განსაზღვრავს: 1. ფაკულტეტის მიმართულებების მრავალფეროვნება; 2. სწავლების ხარისხი; 3. დასაქმების პერსპექტივა.

## იურიდიული ფაკულტეტი

უმაღლესი იურიდიული განათლება საქართველოში საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას ეფუძნება. დღეს მოქმედი იურისტების უმეტესი ნაწილი სწორედ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აღზრდილია.

ფაკულტეტზე არსებობს ორი პროგრამა – სამართალმცოდნეობა და საერთაშორისო სამართალი. მისაღები კონტინგენტის რაოდენობა: სამართალმცოდნეობა: 700; საერთაშორისო სამართალი: 50;

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

სამართალმცოდნეობის სპეციალობით: სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა; ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა; სამართლის ცოდნის ეფექტიანად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი; საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

საერთაშორისო სამართლის სპეციალობით:

ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა: საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები; სამართლის ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე თეორიული სწავლების პარალელურად პრაქტიკული სწავლებისა და სტაჟირების აქტიური პრაქტიკაა დანერგილი.

პრაქტიკული სწავლების ფორმით ფაკულტეტი მის სტუდენტებს ძირითადად სთავაზობს იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და იურიდიულ დებატებში მონაწილეობის, იმიტირებული იურიდიული კონსულტირებისა და ადვოკატირების შესაძლებლობებს როგორც უშუალოდ ფაკულტეტის, ისე მის ბაზაზე არსებული და მოქმედი სტუდენტური საზოგადოებების თუ სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მეშვეობით.

ზოგადად, იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი თითქმის ყველა სასწავლო მოდული ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების მეთოდით სარგებლობას. ეს პროგრამები პირდაპირ ისახავენ მიზნად სტუდენტისათვის იმ მეთოდების სწავლებას, რომლებიც აუცილებელია იურისტისათვის და რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს აქვს იურიდიული ლიტერატურის კავკასიაში ყველაზე მდიდარი და ხშირად განახლებადი სასწავლო დანიშნულების ბიბლიოთეკა. იგი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერთების შემდეგ, შეიცავს წიგნად ფონდს ოცდაათი ათასი ერთეულის ოდენობით და თინათინ წერეთლის, დავით ფურცელაძის, ლამარა სურგულაძის, თამარ ცაგურიას, ივან პერეტერსკისა და ნიკოლაი პოლიანსკის პირად კოლექციებს.

სამაგისტრო პროგრამებით დადგენილია სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მოიცავს ურიდიული კლინიკის ნაწილს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი კლინიკები:

ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული საადვოკატო კლინიკა; პრაქტიკული სამართლის კლინიკა; იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა; მთავარი პროკურატურის კლინიკა; პოლიციის აკადემიის კლინიკა; თბილისის საქალაქო სასამართლოს კლინიკა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს კლინიკა; სასამართლო საქმის წარმოებისა და მენეჯმენტის კლინიკა (რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე); აღსრულების ეროვნული ბიუროს კლინიკა; ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კლინიკა; საქპატენტის კლინიკა; ცენტრალური საარჩევნო კომისიის კლინიკა; საადვოკატო და საარბიტრაჟო კლინიკა; იურიდიული ფირმის „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური" საადვოკატო კლინიკა; ერისთავის იურიდიული ჯგუფის საადვოკატო კლინიკა; კორძაძის საადვოკტო ბიუროს კლინიკა.

გარდა ამისა, იურიდიული ფაკულტეტი აწყობს სემესტრულ საფაკულტეტო სტუდენტურ კონფერენციებს, სამართლის სკოლებსა და სასერტიფიკაციო პროგრამებს. იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე მისი სტუდენტების მიერ შექმნილი ორგანიზაციები „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება" და „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო" გამოსცემენ სტუდენტურ პერიოდულ და არაპერიოდულ პუბლიკაციებს, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ, მათ აკადემიურ ნამუშევრებს ბიბლიოგრაფიული ღირებულება შესძინონ და გააცნონ იგი იურიდიულ საზოგადოებას.

იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე გარე ინსტიტუციონალურ სასტიპენდიო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასტიპენდიო პროგრამა.

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია არის: ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოება; კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება; მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა; მოტივირებული და ნიჭიერი სტუდენტების მიზიდვა; კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია.

ფაკულტეტი აერთიანებს 8 დეპარტამენტს, 18 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, 33 სასწავლო–კვლევით ლაბორატორიასა და 3 სასწავლო ცენტრს. ძირითადი სასწავლო და კვლევითი საქმიანობა ხორციელდება შემდეგ დეპარტამენტებში:

მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის.

სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უდავო ლიდერია უნივერსიტეტში და ამ კუთხით მას გამორჩეული ადგილი უჭირავს სრულიად საქართველოში: ჩვენ გვაქვს ყველაზე მეტი დაფინანსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტი, ყველაზე მეტი პუბლიკაცია აღიარებულ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში; ჩვენი ფაკულტეტის სახელით ასობით მოხსენება კეთდება სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე. ფაკულტეტის პერსონალის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია, მაგალითად, პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, რამდენიმე ათეულს შეადგენს, ასეთი შედეგების მიღწევა მხოლოდ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს შეუძლიათ და ეს პროფესიონალები დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოღვაწეობენ.

ფაკულტეტის პერსონალის მაღალი პროფესიონალიზმი საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამები სწავლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

ფაკულტეტი 2012-2013 სასწავლო წლისთვის აბიტურიენტებს თავაზობს 11 განახლებულ საბაკალავრო პროგრამას:

მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები (ქართულ-ფრანგული), ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ეკოლოგია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს აქვთ მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან და ფაკულტეტის პოპულარობაც აბიტურიენტებში ყოველწლიურად იზრდება. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო 2011 წელს ფაკულტეტზე ჩარიცხული 800 სტუდენტიდან სახელმწიფო დაფინანსება 97%–მა მოიპოვა. ვფიქრობთ, რომ 2012 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას. 2012 წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა



*თსუ სტუდენტები იმიტირებულ სასამართლო პროცესზე*



*რესურსცენტრი თსუ II კორპუსში*



*სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რადიო სტუდია*



*ქიმიის სასწავლო ლაბორატორია*



*თსუ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა"*



*თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, სამხატვრო სტუდია*

# რატომ უნივერსიტეტი?

*პირველი გვერდიდან*

ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 900 ადგილით.

აღსანიშნავია, რომ რომელიმე მიმართულებით დარჩენილი ვაკანსია გადანაწილდება სხვა საგანჩაბარებულზე.

საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი ხორციელდება უცხოელი კოლეგების მონაწილეობით როგორც ბაკალავარიატში ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ზოგიერთი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად მიიღებენ ევროპული უნივერსიტეტის დიპლომს.

განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატში, ინტერესების შესაბამისად სტუდენტებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში:

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ დაეუფლონ დამატებით სპეციალობას. რესურსის არსებობის შემთხვევაში დამატებითი სპეციალობა შესაძლებელია არჩეული იქნეს როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე არსებული პროგრამებიდან;

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სკოლის მასწავლებლისთვის აუცილებელი განათლება;

სტუდენტებს შეუძლიათ სწავლისთვის განკუთვნილი დრო მთლიანად მოახმარონ ძირითადი სპეციალობის გაღრმავებულ შესწავლას;

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან აირჩიონ სასწავლო კურსების კონცენტრაცია.

წარჩინებული სტუდენტები ჩართული არიან კვლევით სამუშაოებში, ზოგიერთი მათგანი ბაკალავრიატის დასრულებამდეც კი ასწრებს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მიღებას, რეცენზირებად და რეფერირებად უცხოურ ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ფაკულტეტის სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტურ ოლიმპიადებში. სტუდენტების ნაწილი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მიემგზავრება საზღვარგარეთ სემესტრის გასატარებლად. სწავლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ნაწილი სწავლას აგრძელებს შემდეგ საფეხურზე როგორც საქართველოში ასევე ქვეყნის გარეთ. დღეს ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სწავლობენ ოქსფორდში, სტენფორდში, ციურიხში, ბონში და კიდევ მრავალ სხვა ცნობილ უნივერსიტეტში.

კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტები სემესტრულად იღებენ საპრეზიდენტო სტიპენდიას, ზოგიერთ პროგრამაზე დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები; კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენეტებისთვის ხდება სწავლის საფასურის გადახდა. სწავლის გადასახადის თვალსაზრისით განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებია დაწესებული დოქტორანტებისთვის.

კრეატიული სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით 2012 წლიდან ფაკულტეტი ატარებს ორი ახალ კონკურსს – სტუდენტური ნაშრომების კონკურსს და სტუდენტური ინოვაციების კონკურსს, რასაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება.

სკოლის მოსწავლეებისთვის ფაკულტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს „საბავშვო უნივერსიტეტი“. საინტერესო ლექციების ციკლის გარდა ფაკულტეტი აწყობს ვიქტორინას რამდენიმე ტურად. სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის ცოდნასა და სხარტ აზროვნებაში. 2012 წელს ძირითადი შესარჩევი ტურის ჩატარება მარტის თვეშია დაგეგმილი, ხოლო ფინალური ტურის გამართვა დეკემბრის თვეში იგეგმება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალს, როგორც წესი, გულისხმიერი დამოკიდებულება აქვს სტუდენტების პრობლემების მიმართ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება სტუდენტებს სწავლასა და კვლევაში წარმატების მისაღწევად.

დეტალური ინფორმაციის მიღება ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების შესახებ შესაძლებელია: http://www.tsu.edu.ge/faculties/science/forstudents

## მედიცინის ფაკულტეტი

მცირე ისტორიული ცნობები თსუ მედიცინის ფაკულტეტის შესახებ:

საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია დასაბამს 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებიდან იღებს. 1919 წლის 9 აპრილს, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით. ფაკულტეტმა უნივერსიტეტში არსებობა შეწყვიტა 1929/1930 სასწავლო წლის ბოლოს და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა უმაღლესი სამედიცინო განათლება. 2000 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი ფუნქციონირებს როგორც თსუ-ის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სპეციალობებია:

სამკურნალო საქმე – დიპლომირებული მედიკოსი; სტომატოლოგია – დიპლომირებული სტომატოლიგი; ოკუპაციური თერაპია – ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი;

თსუ ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის სპეციალობის მიღებაა შესაძლებელი.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს ელის: ევროპული სტანდარტების სასწავლო პროგრამა; სწავლება საერთაშორისოდ აღიარებული და თანამედროვე მეთოდებით; მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; საქართველოს საუკეთესო კლინიკების გამოცდილება და მიღწევები; უცხოელი ექსპერტებისა და მოწვეული პროფესორების საგანმანათლებლო კურსები; ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან;

აქტიური სტუდენტური ცხოვრება; საქვეყნოდ ცნობილი პროფესურა; ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის საბაზისო დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამის დეპარტამენტებში და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში.

მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები წარმოდგენილია საქართველოს წამყვანი სამედიცინო დაწესებულებებით: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინს-ტიტუტი; ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი; დაავადების კონტროლისა და სა-ზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ა.წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი; ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი; ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი; კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; მ.წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ი.ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; გ.მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი; ი.ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; თბ-ილისის ბალნეოლოგიური კუ-რორტი – კურორტოლოგიის, ფი-ზიოთერაპიის, სამკურნალო ტურიზმის და რეაბილიტაციის ეროვნული ცენტრი; ნ.მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ქ. თბილისის სხვადასხვა სტომატოლოგიური კლინიკები.

მედიცინის ფაკულტეტი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი; მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის გროსჰადერნის კლინიკა; ხემნიცის საუნივერსიტეტო კლინიკა; მაინცის უნივერსიტეტის სამედიცინო და სტომატოლოგიური ფაკულტეტები; ლუნდის უნივერსიტეტი; ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი; ჯონს ჰოპკინის უნივერსიტეტი; ტრომსოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი; მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმება: დიპლომირებულ მედიკოსს/სტომატოლოგს – უფლება აქ-ვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში ან/და რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტზე მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებიც ფუნქციონირებს.

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) – უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომისშემდგომი საფეხურია, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიულ მზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში, სარეზიდენტო პროგრამის დადგენილ ვადაში.

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრს შეუძლია იმუშაოს: ფიზიკური და ფსიქო-სოციალური დახმარების სფეროს ფართო საზღვრებში; ყველა ასაკობრივი ჯგუფის უნარშეზღუდულ ადამიანებთან; იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვა მარგინალურ ჯგუფებთან.

## ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ლიდერია საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების რაოდენობის მიხედვით. ამას მოწმობს ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები.

– 2009 წელს ჩარიცხული 889 სტუდენტიდან 884 სახელმწიფო გრანტის მფლობელია (მათ შორის 308 სტუდენტს 100%-იანი გრანტი გააჩნია).

– 2010 წელს ჩარიცხული 540 სტუდენტიდან ყველა სტუდენტი სახელმწიფო გრანტის მფლობელია, ხოლო 221 სტუდენტს 100%-იანი გრანტი გააჩნია.

– 2011 წლიდან შეიცვალა გრანტის გაცემის პირობები (ეკონომიკის პროგრამაზე გაიცემა ყველა სახის გრანტი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე მხოლოდ 100%-იანი გრანტი), შესაბამისად, ეკონომიკის პროგრამაზე ჩარიცხული 270 სტუდენტიდან ყველა სტუდენტი სახელმწიფო გრანტის მფლობელია, ხოლო 51 სტუდენტს 100%-იანი გრანტი გააჩნია. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხული 360 სტუდენტიდან 14 სტუდენტი 100% –იანი გრანტის მფლობელია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სამსაფეხურიანი სწავლების ციკლი: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში 2012 წლისთვის გამოცხადებული პროგრამები, სწავლების დაფინანსების (სახელმწიფო გრანტის) მიღების შესაძლებლობები და მისაღები კონტიგენტის რაოდენობაა ეკონომიკის პროგრამაზე – 400 სტუდენტი (ყველა სახის გრანტით), ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე – 459 (მხოლოდ 100 პროცენტიანი გრანტით).

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში (ნებისმიერ პროგრამაზე) სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში:

ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა; ზოგადი უნარები; მათემატიკა.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი პერიოდულად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის (მათ შორის საერთაშორისო) კონკურსებს, ბიზნეს ოლიმპიადებსა თუ სტუდენტურ კონფერენციებს. ასევე ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ საქართველოს თუ საერთაშორისო მაშტაბით გამართულ მსგავს ღონისძიებებში (ხშირ შემთხვევაში თსუ დაფინანსებით) საიდანაც ისინი, როგორც წესი, გამარჯვებულები ბრუნდებიან.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. გარემონტდა მაღლივი კორპუსის რამდენიმე სართული, კეთილმოეწყო აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამი მძლავრი კომპიუტერული რესურსცენრები სადაც სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად სეუძლიათ ინტერნეტთან წვდომა. გასულ წელს გარემონტდა და უახლესი ლიტერატურით შეივსო ფაკულტეტის ბიბლიოთეკა.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო საწარმოებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან დებს ხელშეკრულებებს და აფორმებს მემორანდუმებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს მნიშვნელოვანი კავშირები გააჩნია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, რის შედეგადაც აქტიურად ეწყობა გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისათვის;

ბაკალავრიატის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მოიპოვონ დაფინანსება და სწავლების გარკვეული ეტაპი გაიარონ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში;

ფაკულტეტი პერიოდულად იწვევს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს და ისინი კითხულობენ ლექცია – სემინარებს ჩვენი სტუდენტებისათვის;

პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ეწყობა ერთობლივი პროექ-ტები მაგის-ტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის;

ეწყობა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები.

ფაკულტეტზე მოწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს ცნობილი გერმანელი მეწარმე, ბავშვთა კვების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის “HIPP”-ის მფლობელი, საქართველოს დიდი მეგობარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი კლაუს ჰიპი.

კულტურის მენეჯმენტი – ახალი სასწავლო მოდული: ციტაუ/გიორლიტცის (გერმანია) უნივერსიტეტთან (რომლის წარმომადგენელიც არის პროფესორი მათიას ფოგტი) თანამშრომლობით ახალი სასწავლო წლიდან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია „კულტურის მენეჯმენტის“ სასწავლო მოდულის გახსნა.

„თბილისის ბალკონი“, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ–გერმანული ინსტიტუტი გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის DAAD-ის ფინანსური დახმარებით რეგულარულად უწევს ორგანიზებას ეკონომიკური პოლიტიკის ფორუმს „თბილისის ბალკონი“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ გერმანიის, საქართველოს და სხვა ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

www.tsu.edu.ge/faculties/economics

## თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლა

ტურიზმი დღეს საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროა და სახელმწიფოს მხრიდან მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სისტემატურად იზრდება ქვეყანაში შემოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა. 2011 წელს საქართველოში 2,8 მლნ უცხოელი ტურისტი ჩამოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 39 %–ით მეტია. პროგნოზის თანახმად, 2015 წლისთვის ტურისტების რაოდენობა 5 მლნ-ს მიაღწევს. საქართველოში ჩამოსული ტურისტების მაღალ დონეზე მომსახურება და ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის იმიჯის ამაღლება ახალი თაობის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების გარეშე წარმოუდგენელია.

2011–2012 სასწავლო წლიდან ტურიზმის სფეროსთვის სპეციალისტთა მომზადება დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლამ. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის მიხედვით: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. მათ შორისაა აგრეთვე ინგლისურენოვანი მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

დღეისათვის თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში 1000–მდე სტუდენტი სწავლობს. საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციისათვის სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მისი სასწავლო კორპუსი განთავსებულია ვაჟა ფშაველას გამზირზე, 44. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა 10 ათასზე მეტი დასახელების წიგნადი ფონდით, სამკითხველო დარბაზით, ინტერნეტკუთხითა და წიგნსაცავით; ფუნქციონირებს რესურს-ცენტრი 80 კომპიუტერით, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი რამდენიმე აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი, დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი.

როგორც ცნობილია, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად მარტო თეორიული ცოდნა არაა საკმარისი. ამიტომ სწავლების პროცესი ორ ნაწილად იყოფა: თეორიული ცოდნის მიღება ლექციებზე და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება სემინარულ–პრაქტიკულ მეცადინეობებზე. სწავლების უმეტესი ნაწილი წარიმართება ინტერაქტიური ლექციებისა და დისკუსიების სახით. სემინარულ–პრაქტიკულ მეცადინეობებზე დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ტიპის სიტუაციურ ანალიზსა და ამოცანების გადაწყვეტას (case study ფორმატი); სტრატეგიულ სიმულაციებსა და საქმიან თამაშებს; ტურისტული ბიზნეს–პროექტების თეორიულ დასაბუთებას, დამუშავებასა და დაცვას; ტურიზმის სფეროს ბიზნესმენებთან და მენეჯერებთან შეხვედრებსა და მასტერკლასებს; ტურიზმის საკვანძო საკითხებზე წერითი სამუშაოების (რეფერატების, ესეების და ა.შ.) შესრულებას, კომპიუტერულ სიმულაციებს, კვლევითი პროექტების შესრულებას ტურისტული ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარებისა და სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტის კონტექსტში, მრგვალი მაგიდების მოწყობას და ა.შ.

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# სტუდენტი და მეცნიერება თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისთვის 2011 წლის სახელმწიფო კონკურსის შედეგად, ასევე გვაქვს თსუ-დან დაფინანსებული პროექტი.

ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების 2011 წლის საგრანტო კონკურსის შედეგებით თსუ-დან დაფინანსდა 8 პროექტი. ეს რომ შემთხვევითობა არ არის და საქართველოს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან მიმართებაში თსუ-ს უპირატესობა გააჩნია, ამაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ უახლოესი წლების სტატისტიკაც მეტყველებს. 2009 წელს ეროვნული ფონდებიდან მიღებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობით პირველი სამეული ასე გამოიყურება: თსუ - 29 გრანტი, ილიას უნივერსიტეტი - 11 გრანტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი - 8 გრანტი. ამასთან, პირველ ათეულში ის ინსტიტუტებიც შედიან, რომლებიც 2011 წლიდან უკვე თსუ-ში გაერთიანდნენ, რამაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი კიდევ უფრო გააძლიერა.

უახლოეს დღეებში ველოდებით ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის შედეგებს, სადაც დარწმუნებული ვართ თსუ-ს უდავოდ საუკეთესო მაჩვენებელი ექნება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის მხრივ სამეცნიერო კვლევებისთვის მნიშვნელოვან დაფინანსებას გამოყოფს. 2011 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებული იყო 14 054 746 ლარი (ბიუჯეტის 29%); მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია: 4 მილიონ 154 104 ლარი (ბიუჯეტის 9%). 2012 წელს ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება.

გიორგი ღვედაშვილის ინფორმაციით: "თსუ-ში გვაქვს საინტერესო სასწავლო კურსებიც. მინდა ყურადღება გავამახვილო დოქტორანტებისათვის განკუთვნილ არჩევით სასწავლო კურსზე "მეცნიერების მენეჯმენტი". ამ კურსზე ყოველ სემესტრში 100-მდე სტუდენტი რეგისტრირდება და მასში ზუსტად იმ პერსპექტივებზეა საუბარი, რაც უჩნდება ადამიანს, როცა ის გადის სამეცნიერო ასპარეზზე. აქ ჩვენ მათ ვასწავლით თუ როგორ უნდა გააკეთონ CV, სამეცნიერო სტატია, როგორ მოამზადონ კარგი საგრანტო პროექტი. სტუდენტებს შეუძლიათ მოამზადონ დამოუკიდებელი პროექტებიც.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე წელს პირველად დაიწყება სტუდენტთა სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ბიძგს მისცემს სტუდენტებს, რათა უფრო აქტიურად იმუშაონ და დაინტერესდნენ კვლევებით. ამას გარდა – როცა სამეცნიერო ხელმძღვანელი აკეთებს პროექტს, ის აუცილებლად რთავს თავის სტუდენტს ამ პროექტში". – ამბობს გიორგი ღვედაშვილი.




*1 – ქართველ და იტალიელ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშემწყობი კონკურსი – სულ დაფინანსებული პროექტები – 5; დაფინანსებული თსუ-დან – 4*

*2 – სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა" და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (ჩ დშ) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსებული პროექტი – 3; დაფინანსებულია თსუ-დან – 2*

*3 – უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების მეორე ეტაპზე სულ მეორე ეტაპზე გასული პროექტები – 19; თსუ-დან გასულია მეორე ეტაპზე – 9*

*4 – მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში მარტი-აპრილის თვეებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის დაფინანსებულია სულ 15 მეცნიერი; თსუ-დან 9 მეცნიერი (2012 წლის მონაცემები)*

# უნიკალური ბიბლიოთეკა



*თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავებში*



*თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა*



*თსუ კლასიკური ფილოლოგიის ნეოგრეცისტიკის ბიბლიოთეკა*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მკითხველს ბევრი ისეთი წიგნის მოძიება შეუძლია, რომელიც სხვაგან არსად, არც ერთ ქართულ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. ამას თავისი საფუძველი აქვს – თსუ-ის ბიბლიოთეკის შექმნის ისტორია პირველი ქართული უნივერსიტეტის ოფიციალურად დაარსებამდე თითქმის თვენახევრით ადრე, 1917 წლის 19 დეკემბერს, ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძის საფუძველზე გადმოცემული წიგნებით დაიწყო.

კიტა აბაშიძის კოლექციას მოჰყვა თბილისის სასულიერო სემინარიის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების, სათავადაზნაურო გიმნაზიის წიგნთსაცავები. მას გადაეცა დიდი მთავრის ბიბლიოთეკაც, რომელიც ლიკანში ინახებოდა, რის გამოც დღეს თსუ-ში დაცულია უნიკალური რუსული წიგნები. უნივერსიტეტს შეემატა სხვა ცნობილი მოღვაწეების პირადი კოლექციებიც. დაარსებიდან ორ წელიწადში უნივერსიტეტის ბიბლითეკაში უკვე 100 ათასზე მეტი წიგნი იყო დაცული. ამ გზით მოხვდა უნივერსიტეტის კოლექციაში ქართული თუ უცხოური უნიკალური წიგნები. ტრადიცია შემდგომშიც გაგრძელდა.

დღეისთვის უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი მილიონობით საბიბლიოთეკო დოკუმენტს ითვლის. მხოლოდ გასულ 2011 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 6707 საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორის 3852 წიგნი შეემატა. მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდების განახლება მუდმივად ხდება უნივერსიტეტის სასწავლო თუ სამეცნიერო ინტერესებისთვის ხელშესაწყობად. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს საბიბლიოთეკო საბჭო, რომელიც, ფაკულტეტების წინადადებების საფუძველზე, განიხილავს ლიტერატურის შეძენის საჭიროების საკითხს. ამასთან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ გასული წლის გაზაფხულზე მემორანდუმი გააფორმა 5 გამომცემლობასთან, რომელთა მიერ გამოშვებული წიგნებიც საჩუქრად გადმოეცემა ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკის როგორც რარიტეტები, ისე ნებისმიერი წიგნი ხელმისაწვდომია თსუ-ის სტუდენტებისა და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს 3 სამკითხველო დარბაზი:

შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზი; მარო მაყაშვილის სახელობის მცირე სამკითხველო დარბაზი, გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი.

უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს ასევე აქვს თავისი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით. თითქმის ყველა ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ აბონემენტის მომსახურებითაც და ბიბლიოთეკიდან 5 თვის ვადით გაიტანონ მათთვის საჭირო ლიტერატურა.

თსუ-ის ახალი და უმნიშვნელოვანესი ბიბლიოთკაა ასევე ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც უნივერსიტეტს გასულ წელს შემოუერთდა და რომელიც ცალკე და განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

# თსუ მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ისტორია 1919 წელს დაიწყო, როდესაც გიორგი ჩუბინიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას მუზეუმის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელოვნების კაბინეტის შექმნის წინადადებით მიმართა. ამ დროისათვის უნივერსიტეტში უკვე ძალზე ბევრი უნიკალური მხატვრულ-ისტორიული ღირებულების ნივთი იყო თავმოყარილი. მათ შორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების კოლექციებიც. ფინანსური შეჭირვების მიუხედავად, უკვე ამ დროიდან, უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები ცდილობდნენ პირველი ქართული უნივერსიტეტისთვის საზღვარგარეთ გამოცემული ბუკინისტური წიგნები და ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატები შეეძინათ.

ცნობისათვის, ჯერ კიდევ 1919 წელს პროფესორ ალექსანდრე თვალჭრელიძის მიერ დაარსებული მინერალოგიის მუზეუმი ერთ-ერთი უნიკალურია თავისი მრავალფეროვნებით მთელს სამხრეთ კავკასიაში. აქ წარმოდგენილი 7000-მდე ექსპონატი მოძიებული და შეძენილია არა მხოლოდ მთელი საქართველოს, არამედ ყოფილი სსრკ-სა და ევროპის ქვეყნების მასშტაბით.

დღეისათვის თსუ-ის მუზეუმი არქეოლოგიის, გეოგრაფიის, მინეროლოგიის, პალეონტოლოგიის, უნივერსიტეტის ისტორიის, ზოოლოგიური ფონდებისა და ქართული ემიგრაციის მუზეუმს აერთიანებს.

პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის ყურის აპარატი, რომლითაც იგი სიცოცხლის ბოლო წლებში, სმენის დაქვეითებისას სარგებლობდა; გერმანიაში დაბეჭდილი მსოფლიოს ატლასი, რომელიც გამოჩენილმა მწერალმა და ერთ-ერთმა პირველმა ქართველმა დიპლომატმა სულხან საბა ორბელიანმა საქართველოში 1713-1716 წლების ევროპული მოგზაურობის შემდეგ ჩამოიტანა; ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანისა და სხვა ცნობილი მხატვრების ფერწერული ტილოები – ეს თსუ-ის მუზეუმში დაცული რელიქვიებისა და ექსპონატების მხოლოდ მცირე ნაწილია.

მუზეუმისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვის პროცესი უნივერისტეტის პირველ კორპუსთან არის დაკავშირებული. უახლოეს პერიოდში მნახველებს თსუ-ის მუზეუმის ექსპონატების ნახვა თსუ-ის პირველი კორპუსის განახლებულ სივრცეში შეეძლებათ.



*ლადო გუდიაშვილი – „მინდია".*
*თსუ მუზეუმის ექსპონატი*



*ბრინჯაოს ქანდაკება. აწყური. ძვ.წ.აღ IV ს.*
*თსუ მუზეუმის ექსპონატი*



*თსუ ზოოლოგიის მუზეუმი*



*ექსპონატი თსუ მუზეუმის მინერალოგიის ფონდიდან*

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად გამოიყენება ვიდეო– და აუდიო, საპრეზენტაციო და საილუსტრაციო ტექნიკური საშუალებები.

პრაქტიკული უნარ–ჩვევების გამომუშავებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას. ამ მიზნით თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში შეიქმნა ტურიზმის ბიზნესცენტრი, რომლის საქმიანობა ითვალისწინებს სკოლის სასწავლო კორპუსის, ტაბახმელისა და თელეთის კომპლექსების მატერიალურ–ტექნიკური ბაზების გამოყენებას. ტურიზმის ბიზნესცენტრმა უნდა განახორციელოს ტურისტული მომსახურების სრული სპექტრი. იგი იქნება პრაქტიკის ობიექტი, სადაც დასაქმდებიან სკოლის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პრაქტიკის ამ საკუთარი ობიექტის გარდა, სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკა–სტაჟირება საქართველოს საუკეთესო სასტუმროებში (მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს მაგისტრანტებმა პრაქტიკა გაიარეს სასტუმროში „თბილისი ქორთიარდ–მარიოტი“), ტურისტულ სააგენტოებში, რესტორნებსა და ტურისტული ინდუსტრიის სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეკონომიკის დარგობრივ კომიტეტში, სხვადასხვა სამინისტროებში, თბილისის მერიაში, მუზეუმებში და ა.შ. საუკეთესო სტუდენტებისათვის იგეგმება უცხოეთში სტაჟირება. ეს საკითხი ფაქტობრივად შეთანხმებულია აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, პოლონეთის, უკრაინის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა საწარმოებთან.

თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისური ენის სწავლების სრულყოფის საკითხს.

თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, რომელთა შედეგების პრეზენტაცია ხორციელდება სკოლის სტუდენტთა აუდიტორიის წინაშე, აგრეთვე მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში, დარგობრივ გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში. ამჟამად ისინი ემზადებიან სტუდენტთა ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენციისათვის, რამდენიმე სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს ლიტვასა და უკრაინაში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციებში.

სტუდენტები დაინტერესებული არიან საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული რესურსების შესწავლით. შემოდგომის სემესტრში 150–ზე მეტმა სტუდენტმა შეასრულა რეფერატი სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის მაგალითზე.

საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ქალაქების უკეთ შესწავლის მიზნით, სკოლაში ჩამოყალიბდა მოგზაურთა კლუბი. მისი წევრები ამუშავებენ ტურისტულ მარშრუტებს, რომელთა რეალიზაციის პროცესში თვითონ ასრულებენ გიდების როლს.

უახლოეს პერიოდში ამოქმედდება პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა კურსები, რომლებიც მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებზე იქნება ორიენტირებული. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლა გაზაფხულის სემესტრიდან გეგმავს საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩი ტურისტი“ ამოქმედებას. საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობაში აქტიურ როლს სკოლის დოქტორანტები და მაგისტრანტები მიიღებენ.

თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლის საქმიანობის შემდგომი სრულყოფისთვის გათვალისწინებულია ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობით.

# არქეოლოგიური ექსპედიციები



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგების მიერ წელიწადში დაახლოებით ექვსი-შვიდი ექსპედიაცია ეწყობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ”არქეოლოგიური სეზონი”, როგორ წესი, მარტიდან იწყება და გვიან შემოდგომამდე გრძელდება. ექსპედიციის შემადგენლობაში თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების გარდა, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტებიც შედიან, რომელსაც მათი ხელმძღვანელები საველე და აკადემიური სამუშაობისთვის უკვე პირველი კურსიდან ამზადებენ და არჩევენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის თქმით, „ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტი ორ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება და იცოდეს ერთი უცხო ენა მაინც. ამასთან, არქეოლოგიის ტრენინგ-ლაბორატორიაში პროფესიაში ცოდნის საფუძვლიანად გასაღრმავებლად სტუდენტებს კარგი საშუალება ეძლევათ. ისინი კონკრეტულ მასალაზე სწავლობენ სამეცნირო ტერმინოლოგიას, აღმოჩენილი მასალის აღწერას, ხატვას, ტექნოლოგიურ დამუშავებას და კონსერვაციისა და რესტავრაციის ყველა პორცედურის დაცვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად”.

2011 წელს შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, სვანეთში, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თსუ-ის არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანი ნივთი. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში ველზე, მიმდინარეობდა აღმოჩენილი ტერიტორიის გაწმენდა და კონსერვაცია. რაც შეეხება 2012 წელს, დაგეგმილი გათხრების ოპტიმალურად ნაკლები დანახარჯით ჩასატარებლად უკვე განხორციელდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შერჩეული ტერიტორიების წინასწარული ექსპერტიზა. დაგეგმილია ასევე წყალქვეშა სამუშაოები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გაახლა კასპის რაიონში მდებარე ხოვლე გორის გათხრები, სადაც ნახევარი საუკუნის წინ შეწყდა სამუშაოები. ხოვლეში მდებარეობს ასევე ივანე ჯავახიშვილის მამაპაპისეული სახლი, რომელშიც ახლა მისი სახელობის მუზეუმია განთავსებული და რომლის ექსპოზიციის განახლებაც ითავა არქეოლოგიის ინსტიტუტმა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ თსუ-ის არქეოლოგებს საინტერესო წელი ელით. უახლოესი პერიოდის გეგმებს კი რაც შეეხება, სულ მალე თსუ-ის არქეოლოგიის სტუდენტები მე-IV საერთაშორისო არქეოლოგიურ კონფერენციას გამართავენ ბრიტანელ, პოლონელ, ჰოლანდიელ და ბერძენ თანატოლებთან ერთად.

# საველე კვლევა თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით



თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს, თეორიული საქმიანობის პარალელურად, პრაქტიკული სწავლების საშუალებაც აქვთ. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია საველე პრაქტიკები, რომელიც შესაბამის კრედიტში აისახება. გარდა ამისა, ყოველ შაბათ-კვირასა თუ დასვენების დღეებში იგეგმება მოგზაურობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში თუ მეზობელ ქვეყნებში.

ფაკულტეტის სტუდენტები თავდაპირველად გეოგრაფიული კვლევის საწყის, მოსამზადებელ ეტაპზე ახდენენ საკვლევი რეგიონის შესახებ მასალების მოძიებასა და დამუშავებას, შემდეგ უკვე შერჩეულ რეგიონში ხდება გამგზავრება და მიმდინარეობს საველე კვლევა.

როდესაც ჯგუფი ბრუნდება თბილისში, თსუ-ში შეჯამდება ველზე მოპოვებული მასალები და მისი კამერალური დამუშავების შესაბამისად წარმოდგენილი იქნება ანგარიში გამოფენების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თემების სახით.

გასულ წელს თსუ-ის ეგიდით ჩატარდა სასწავლო პრაქტიკა გეოგრაფიაში, სომხეთის რესპუბლიკაში და თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში. მასალების დამუშავების საფუძველზე დაიწერა თურქეთის გეოგრაფიული შინაარსის წიგნი.

# უნივერსიტეტის დესპანები

თსუ-ის სხვადასხვა კურსისა და ფაკულტეტის სტუდენტები ‘‘თსუ-ის დესპანის’’ სტატუსით სკოლებში არდადეგებზე მოსწავლეებთან შესახვედრად ივლიან. ‘‘დესპანის’’ სტატუსი მათ წელს მიენიჭათ, რასაც სპეციალური სიგელითაც ადასტურებენ. თბილისის გარდა მათ სიაში ქუთაისი, ჩხოროწყუ, გარდაბანი, თეთრიწყარო, ცაგერი, ოზურგეთი, გორი, ბათუმი, თელავი, წყალტუბო, ხელვაჩაური, ვანი, ჩოხატაური, ახალციხე, ახალქალაქი, ჭიათურა, ადიგენი, ზესტაფონი, ტყიბული, ბოლნისი, ხაშური, კასპი, საგარეჯო და სხვაა. ასოცზე მეტმა დესპანმა სულ 30 რაიონის 123 სკოლა უნდა მოიაროს.

‘‘თსუ-ის დესპანის’’ მთავრი მიზანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებამდე მაქსიმალური ინფორმაციის მიტანაა. ‘‘უნივერსიტეტში გამართულ ‘‘ღია კარის’’ დღეზე აბიტურიენტებს შეუძლიათ თსუ-ის შესახებ ინფორმაცია ოფიციალური პირებისგან შეიტყონ. მაგრამ სულ სხვაა, როცა რაღაც კონკრეტულ ინფორმაციას მათ ნაკლებად ოფიციალურად, სტუდენტები მიაწვდიან. მით უმეტეს, თუ ეს სტუდენტები მათ რაიონიდან, ან სულაც მათი სკოლიდან არიან.’’- დარწმუნებულია სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი გრიგოლაშვილი. ‘‘თსუ-ის დესპანის’’ იდეა გიორგის თავის თანაკურსელ ქეთი მურუსიძესთან ერთად გაუჩნდა. ორივე ფაკულტეტზე შექმნილი ‘‘სადისკუსიო კლუბის’’ წევრია, რომლებიც გარდა ამისა აქტიურად არიან ჩართული ‘‘საბავშვო უნივერსიტეტის’’ საქმიანობაში.

თსუ-ის რექტორის მრჩეველი, ‘‘საბავშვო უნივერსიტეტის’’ და პროექტ ‘‘თსუ-დესპანის’’ კოორდინატორი მარინა ლომოური: ‘‘ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად ინფორმაცია ამ სტუდენტებს თავის ფაკულტეტის შესახებ აქვთ, მაგრამ გარდა ამისა, მომზადდა სპეციალური მასალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც მათ სკოლებში საპრეზენტაციოდ გადაეცათ. პროექტის შესახებ ინფორმირებულია განათლების სამინისტრო, დახმარება ჩვენ რესურსცენტრების მხრიდანაც ვითხოვეთ’’. ‘‘თსუ-ის დესპანები’’ თავის საქმიანობას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საკუთარი სურვილით ეწევიან.

# სტუდენტური ალპინიადა



უკვე ათეულობით წლებია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, უნივერსიტეტის პროფესორების ხელმძღვანელობით, „მწვერვალებს იპყრობენ“. დღეს უკვე ტრადიციული სტუდენტური ალპინიადა უნივერსიტეტში 1936 წლიდან იმართება. ზოგადად ალპინიზმის ისტორია და დაარსებაც საქართველოში სწორედ უნივერსიტეტის სახელს უკავშირდება.

ალპინიზმი, როგორც სპორტის სახეობა საქართველოში 1923 წელს ჩამოყალიბდა. ამ წელს საქართველოში მოეწყო პირველი ასვლა მყინვარწვერზე. ექსპედიციას პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. ამავე წლიდან ეყრება საფუძველი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალპსექციის დაარსებასაც. მყინვარწვერზე განხორციელებულ პირველ ასვლებში ძირითადად თსუ-ის თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. უნივერსიტეტის ალპინისტური სექციის ბაზაზე 1959 წელს მოეწყო პირველი ქართული ექსპედიცია ტიან-შანზე, რომელსაც ალექსი ივანიშვილი ხელმძღვანელობდა.

1989 წლიდან კი თსუ-ის ალპინისტური სექცია – „თსუ გ. ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი“ არის ქართველ მთამსვლელთა კადრების მომზადების უმთავრესი კერა საქართველოში. ქართველ ალპინისტთა 75% თსუ-ის აღზრდილია.

აქ, გამოჩენილ მთამსვლელთა მთელი პლეადა აღიზარდა: სიმონ ჯაფარიძე, ოთარ გიგინეიშვილი, სარგის ცაიშვილი, რევაზ ხაზარაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, ვანო გულედანი, გია თორთლაძე და სხვა. მათი უმრავლესობა, გარდა წარმატებული მთამსვლელობისა, აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა და დღესაც ეწევა.

თსუ-ში ტრადიციული სტუდენტური ალპინიადა წელიწადში ორჯერ იმართება – ზაფხულში და შემოდგომაზე. პირველ სტუდენტურ ალპინიადას ხელმძღვანელობდა ცნობილი ალპინისტი და მეცნიერი, პროფესორი დავით წერეთელი. მასობრივმა ასვლებმა კავკასიონის მწვერვალზე განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო თსუ-ში ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს. დროის სხვადასხვა პერიოდში ალპინისტურ სექციას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და მთამსვლელები: გიორგი ნიკოლაძე, ნიკო კეცხოველი, ოთარ გიგინეიშვილი, ლევან მარუაშვილი, დავით წერეთელი, სარგის ცაიშვილი, თორნიკე ტატიშვილი და სხვა. 2001 წლიდან დღემდე თსუ-ში ალპინიადას შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობს. ბატონი შოთა პროფესიით ფიზიკოსია, წარმატებული მთამსვლელობის პარალელურად ეწევა აქტიურ მეცნიერულ მუშაობას. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას 15000 ათასი სტუდენტი ჰყავს მწვერვალებზე აყვანილი.

# თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობები

## საზღვარგარეთ სწავლების პერსპექტივა აბიტურიენტთათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსოფლიოს მასშტაბით 300 პარტნიორი უმაღლესი სასწავლებელი ჰყავს, რომლებთანაც სამეცნიერო კვლევების კუთხით თუ გაცვლითი პროგრამების მხრივ თანამშრომლობს.

დაახლოებით ერთ თვეში ქართული ენის, კულტურის კათედრა გაიხსნება ლაიდენის უნივერსიტეტში. ჰოლანდიის უძველესი უმაღლესი სასწავლებელი ლეიდენის უნივერსიტეტი, 2011 წლის მაისიდან თსუ-ის ექსკლუზიური პარტნიორია საქართველოში. ქართული კათედრა ფუნქციონირებას 2012 შემოდგომიდან დაიწყებს. თსუ ყოველ სემესტრში ლაიდენში გაგზავნის პროფესორს, რომელიც იქ 10 კვირის განმავლობაში დარჩება და კათედრის ხელმძღვანელობის გარდა ქართულ ენასა და კულტურასთან, საზოგადოებასათან დაკავშირებულ საკითხებზე წაიკითხავს ლექციებს.

ათი სასწავლო კვირის განმავლობაში თსუ-ის პროფესორები აქ ლექციათა კურსს წაიკითხავენ. შემოდგომაზე თსუ-ში ლექციების ჩასატარებლად კი ჰოლანდიელი პროფესორი ჩამოდის. უცხოელი მოწვეული პროფესორი ლექციათა სრულ კურსს წაიკითხავს. თსუ-ის სტუდენტებისთვის ლაიდენში ორი სახის სტიპენდიაა გათვალისწინებული. განსაკუთრებით გამორჩეული ჰუმანიტარი მაგისტრი სტიპენდიის სახით 23 000 ევროს მიიღებს(თანხა სწავლის საფასურსა და სხვა ხარჯებს ფარავს), მეორე სტიპენდია კი 13 000 ევროს ოდენობისაა.

თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, 2011 წლისათვის გაცვლითი პროგრამით უკვე განსაზღვრული ქვოტები ასეთი იყო:

ინგლისურენოვანი პროგრამით, ვილნიუსის უნივერსიტეტში – 10, ტარტუს უნივერისტეტში 6, ლატვიის და ვარშავის უნივერსიტეტებში 3–3, ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში–1 სტუდენტი – როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო პროგრამით. 3–3 სტუდენტი ბრატისლავისა და ათათურქის სახელობის უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლებში.

სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამით გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში 7 სტუდენტი, 4 პროფესორი და 4 დოქტორანტი გაემგზავრა,

ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში – 2-4 სტუდენტი და 5 პროფესორი, პოსტდამის უნივერისტეტში – 1-2 ბაკალავრი, გისენის იუსტუს–ლიბეგის უნივერისტეტში 1 ბაკალავრი.

2012 წლის ახალი ქვოტები აპრილისთვის იქნება ცნობილი.

***კიოლნის უნივერსიტეტი*** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტს შორის 2007 წლიდან ხორციელდება საერთო სამაგისტრო პროგრამა. უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართველ კურსდამთავრებულებს, ორსემესტრიანი სწავლების შედეგად, სამაგისტრო ნაშრომის და გამოცდების წარმატებით ჩააბარების შემდგომ, „Master of Laws“ (LL. M.)-ის აკადემიურ ხარისხი ენიჭებათ. სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კიოლნის სამაგისტრო პროგრამაში და თსუ-ის ქართულ სამაგისტრო პროგრამაში, სურვილისამებრ შეუძლიათ გაიარონ მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კრედიტებიც მეორე პროგრამის ფარგლებში იქნება აღიარებული. ამდენად, სწავლის დამთავრების შემდგომ ამ სტუდენტებს ერთდროულად ქართული მაგისტრატურისა და კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომი ექნებათ.

***გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ქ. შპაიერი)*** – საერთო სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ ხორციელდება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის. მაგისტრატურის პროგრამული მიმართულება სამართალი და ეკონომიკაა. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა მაგისტრი (Master of Administrative Sciences). სამაგისტრო პროგრამის მიზანი მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებაა. პროგრამაზე სამართლის, ეკონომიკის, ისტორიისა და სოციოლოგიის მიმართულებების კურსდამთავრებულები მიიღებიან. გასულ წელს ერთთვიანი ინტენსიური პრაქტიკა გერმანიაში თსუ-ის 12 სტუდენტმა გაიარა.

***ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი*** – გასულ წელს თსუ-მ მიღება გამოაცხადა კიდევ ერთ ახალ სამაგისტრო პროგრამაზე ორმაგი ხარისხით. ეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრაციის მიმართულებაზე ორწლიანი პროგრამით სტუდენტი ერთი წელი საქართველოში, თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს. მეორე წელს უკვე გერმანიაში, ქალაქ იენაში, შილერის სახელობის უნივერისიტეტში ატარებს. სწავლების შემდგენელი ნაწილია 1-2 თვიანი პრაქტიკა, რომელსაც ადგილზე შილერის სახელობის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

***რათგერსის უნივერსიტეტი*** – რათგერსის უნივერსიტეტთან (ნიუჯერსის შტატში წამყვანი უნივერისტეტი) თსუ-ს რამდენიმეწლიანი და საკმაოდ ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს. სულ უახლოეს მომავალში თსუ ამერიკელ სტუნდეტთა ჯგუფს ელის, რომელიც საქართველოს გაცნობითი ხასიათის ვიზიტით ეწვევიან. შემდეგ ამერიკაში უკვე ქართველი სუტუდენტები გაემგზავრებიან. საუბარია ასევე თანამშრომლობის გააქტიურებაზე ერთობლივი სამეცნიერო კვლევების მხრივ.

* * *

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის თსუ-ის მაგალითზე გასაცნობად ჩამოდის საქართველოში ფინელი სტუდენტების ჯგუფი.

უახლოეს მომავალში იგეგმება ასევე ესტონეთის რამდენიმე უნივერსიტეტისა და არქიმედეს ფონდის დელეგაციის ვიზიტი, რომელის დროსაც მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტებისათვის ესტონეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე იქნება საუბარი.

აქტიური თანამშრომლობაა დაგეგმილი ასევე მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებულ ვანდერბილტის უნივერსიტეტთან სტუდენტების, მაგისტრანტების გაცვლის, ერთობლივი კვლევების კუთხით. „

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | სწავლების ენა | კრედიტების რაოდენობა | წლიური გადასახადი | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ტელე-კინო რეჟისორი (IV საფეხური) | ქართ. | 60 | 2250 | 15 |
| ტანსაცმლის დიზაინი (IV საფეხური) | ქართ. | 90 | 2250 | 15 |
| კბილის ტექნიკოსის საქმე (IV საფეხური) | ქართ. | 120 | 3500 | 30 |

# მსოფლიოს ქვეყნების კაბინეტები თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა ქვეყნებს თავისი ოთახები აქვთ, რომელთა რაოდენობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. თურქეთის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, ისრაელის, პოლონეთის, იაპონიის, ინდოეთის და გაეროს კაბინეტებში. სტუდენტებს მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისტორიულ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება. ბევრ მათგანში სურვილის შემთხვევაში კი ენის შესწავლაც. ეს კაბინეტები ამავე ქვეყნების საელჩოების მიერ გაიხსნა და აღიჭურვა, მას შემდეგ რაც ასეთი წინადადებებით მათ თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა მიმართა.

ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია "თურქულ კაბინეტს" ჰყავს. თურქულის შესწავლის მსურველებს ორ აუდიტორიაში ლექციებს სამი თურქი მასწავლებელი უტარებს. კურსი უფასოა და მისი გავლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გასულ წელს თურქული ენის კურსებზე უნივერსიტეტში დაახლოებით 300 მოსწავლე მივიდა.

პოლონეთის აწ გარდაცვლილ პრეზიდენტ, ლეხ კაჩინსკის მიერ გახსნილ კაბინეტში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო სამეცნიერო პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ. თსუ-ისა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის გაცლითი პროგრამით წელიწადში სამი სტუდენტი საქართველოში ჩამოდის სასწავლებლად, სამი კი პოლონეთში მიემგზავრება. პოლონური ენის კურსი უფასოა იმ სტუდენტებისთვის, ვისაც ის სპეციალობის გამო აქვს არჩეული. დანარჩენებისთვის სწავლის საფასური თვეში 40 ლარია.

თსუ-ის ინდური კაბინეტის ხელმძღვანელი რატტან ლალ ჰანგლუ აკადემიურ წრეებში ინდური ისტორიის, პოლიტეკონომიისა და კულტურის ცნობილი სპეციალისტია. თსუ-ის სტუდენტებისთვის ლექციათა კურსს ინდოეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ კითხულობს. ლექციები ინგლისურად ტარდება. დაინტერესებულ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობის შემთხვევაში სტუდენტებს იგი მათ მშობლიურ ენასაც ასწავლის.

იაპონურ ცენტრში, უნივერსიტეტის სტუდენტებს იაპონური და ჩინური ენების გარდა ისტორიის, კულტურის საკითხებს შესწავლა შეუძლიათ. მეორადი სპეციალობის სახით მას დღეს დაახლოებთ 50-მდე თსუ-ის სტუდენტი გადის. იაპონური მიმართულების სამი კურსადმთვრებული კი დღეს იაპონიის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა ქვეყნების აუდიტორიებისგან განსხვავებით "ისრაელის ცენტრში" აქცენტი ძირითადად სამეცნიერო საქმიანობაზე კეთდება. ცენტრის ეგიდით სისტემატურად გამოიცემა აკადემიური ხასიათის კრებული, ისრაელის კულტურისა და ისტორიის საკითხებზე. ებრაულ თემთან ერთად ხშირად ტარდება ერთობლივი ღონისძიებები "ებრაულ სახლსა" და სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

რუმენითის და გეროს აუდიტორია ასევე ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

"აზერბაიჯანის მეგობართა კლუბს" თსუ-ში ორი აუდიტორია უკავია. სტუდენტები ყველაზე მეტად აქ კომპიუტერისთვის და ბიბლიოთეკაში სამუშაოდ ამოდიან.

# ერთიანი ეროვნული გამოცდები – აბიტურიენტთა ცნობარი

| 001 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | |
|---|---|---|
| ფაკულტეტი: | 00101 | |
| პროგრამა: | 0010101 | ა) ფილოსოფია; ბ) ისტორია; გ) არქეოლოგია; დ) ეთნოლოგია; ე) ხელოვნებათმცოდნეობა; ვ) კულტურის კვლევები; ზ) კავკასიოლოგია, კავკასიოლოგია (რუსულენოვანი); თ) ამერიკისმცოდნეობა; ი) არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, ებრაისტიკა–არამეისტიკა, არმენოლოგია, ასირიოლოგია; კ) ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, ესპანური ფილოლოგია, იტალიური ფილოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია, ახალი ბერძნული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), სკანდინავიური ფილოლოგია; ლ) სახვითი ხელოვნება, ტელე–კინო ხელოვნება; მ) დაწყებითი განათლება. დამატებითი სპეციალობები: პედაგოგიკა, თეოლოგია, შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა, გამოყენებითი ენათმეცნიერება. |
| ფაკულტეტი: | 00102 | |
| პროგრამა: | 0010201 | ა) მათემატიკა; ბ) კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ქართ. ფრანგ.); გ) ფიზიკა; დ) ქიმია; ე) ბიოლოგია; ვ) გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია; ზ) გეოგრაფია; თ) გეოლოგია; ი) ელექტრონიკა; კ) ეკოლოგია. |
| ფაკულტეტი: | 00103 | |
| პროგრამა: | 0010301 | ა) საზოგადოებრივი გეოგრაფია; ბ) სოციოლოგია; გ) სოციალური მუშაობა; დ) ფსიქოლოგია; ე) პოლიტიკის მეცნიერება |
| ფაკულტეტი: | 00104 | |
| პროგრამა: | 0010401 | საერთაშორისო ურთიერთობები |
| ფაკულტეტი: | 00105 | |
| პროგრამა: | 0010501 | ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია |
| ფაკულტეტი: | 00106 | |
| პროგრამა: | 0010601 | ეკონომიკა |
| ფაკულტეტი: | 00107 | |
| პროგრამა: | 0010701 | ბიზნესის ადმინისტრირება |
| ფაკულტეტი: | 00108 | |
| პროგრამა: | 0010801 | ტურიზმი |
| ფაკულტეტი: | 00109 | |
| პროგრამა: | 0010901 | მედიცინა (ქართულენოვანი), მედიცინა (ინგლისურენოვანი), სტომატოლოგია, ოკუპაციური თერაპია |
| ფაკულტეტი: | 00110 | |
| პროგრამა: | 0011001 | სამართალი |
| პროგრამა: | 0011002 | საერთაშორისო სამართალი |
| ფაკულტეტი: | 00111 | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| პროგრამა: | 0011101 | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის |
| პროგრამა: | 0011102 | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის |

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ:
http://www.naec.ge/images/doc/EXAMS/cnobari_2012_web.pdf

# ISET

# სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) აცხადებს საბუთების მიღებას ეკონომიკის ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე. ISET-ის სასწავლო პროგრამა აშშ-ს და დასავლეთ ევროპის პროგრამების შესაბამისია. სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტში ასწავლიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული პროფესორები.

სამაგისტრო პროგრამაზე დარეგისტრირება ხდება ონლაინ რეჟიმში www.iset.ge; რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2012 წლის 30 აპრილი, დღის 3 საათი. მისაღები გამოცდები ინგლისურ ენასა და მათემატიკაში ჩატარდება მაისის დასაწყისში.

სამაგისტრო პროგრამაზე პირველ სემესტრში სწავლა უფასოა ყველა ჩარიცხული სტუდენტისთვის. საუკეთესო სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოიპოვონ მომავალი ლიდერის სტიპენდია (Future Leader's Scholarship), რომელიც სტუდენტს დაუფარავს სწავლის სრულ გადასახადს და დაუნიშნავს სტიპენდიას თვეში 500 აშშ დოლარის ოდენობით. ყველა წარმატებულ სტუდენტს დაეფარება სწავლის გადასახადის ნაწილი და დაენიშნება ყოველთვიური სტიპენდია. სტუდენტებს აგრეთვე საშუალება ეძლევათ მიიღონ ISET-ის სტუდენტებისათვის სპეციალურად შექმნილი შეღავათიანი სესხები. თბილისს გარეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ სტუდენტებს, სწავლის პერიოდში, ISET-ი უზრუნველყოფს საცხოვრებელი ბინებით.

დამატებით, სტუდენტებს ISET-ი სთავაზობს შემდეგ შესაძლებლობებს:

- ისწავლონ ერთი სემესტრი აშშ-ს ან დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში;
- გაიარონ პრაქტიკა სამთავრობო, არასამთავრობო სექტორში და კერძო კომპანიებში, როგორიც არის მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) ლონდონის ოფისი;
- მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონცენტრაციებში, როგორიცაა ენერგო, ფინანსური, საერთაშორისო ვაჭრობისა და კვლევითი სპეციალიზაციები;
- გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში აშშ-ს და დასავლეთ ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, სრული დაფინანსებით.

* * *

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა შეიქმნა 2006 წელს მსოფლიო ბანკის, BP-ის, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფონდის "ღია საზოგადოება" (OSI), შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით. ISET-ის 98 კურსდამთავრებულიდან 97% დასაქმებულია ან სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ. ISET-ის კურსდამთავრებულებს უკავიათ წამყვანი თანამდებობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეროვნულ ბანკებსა და სამინისტროებში. კურსდამთავრებულების ნაწილი სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში, ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა სტენფორდის, ჩიკაგოს და პენსილვანიის უნივერსიტეტები.

დამატებითი ინფორმაციისათვის და რეგისტრაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.iset.ge

საკონტაქტო პირი: მაია სურგულაძე
admissions@iset.ge
ტელ: 250 71 77 შიდა 104

# თსუ – სპორტული წარმატებები

თსუ-ში საქართველოსა თუ საერთაშორისო სპორტულ არენებზე სტუდენტების წარმატება დიდი ხანია აღარ უკვირთ. თუმცა, როგორც უნივერსიტეტელები ამბობენ, მათთვის ასევე საპატიოა ქვეყნის შიგნით, უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრებებში მონაწილეობა. აქ ისინი თსუ-ის ღირსების დასაცავად იბრძვიან და, უკვე წლებია, ამას წარმატებით ახერხებენ. ქვემოთ 2011 წელს თსუ-ელების მიერ მიღწეული რამდენიმე წარმატების შესახებ მოგიყვებით:

**უნივერსიადა 2011**

9 ოქრო, 13 ვერცხლი, 9 ბრინჯაო, სულ 31 ჯილდო გუნდურ და ინდივიდუალურ პირველობებში – ასეთია 2011 წლის ივნისისთვის "უნივერსიადა 2011"–ში თსუ-ელების მონაგარი. დღეისთვის უნივერსიტეტს სპორტის თითქმის 15-მდე სახეობის წარმომადგენლები ჰყავს.

„უნიბურთი 2011"-ში საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. ფინალურ შეხვედრაზე თსუ სტუ-ს დაუპირისპირდა და 8-7 გაიმარჯვა. უნიბურთის ტურნირის ბომბარდირი გახდა თსუ-ის სტუდენტი ირაკლი თოდუა, ხოლო საუკეთესო მეკარე - ასევე თსუ-ის გუნდის წევრი კობა ნიჟარაძე.

უნივერსიტეტელებმა ასევე წარმატებას მიაღწიეს უნივერსიადა 2011-ის მკლავჭიდის ტურნირში, სადაც საქართველოს 28 უმაღლესი სასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი პირველ ადგილზე გავიდა; მეორე საპატიო ადგილი აგრარულ უნივერსიტეტს, მესამე კი ილიაუნის ერგო. თსუ-მ მოიპოვა 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი. ოქროს მედალოსანი გახდა ნიკოლოზ წერეთელი (ორი ოქროს მედალი მიღო მარჯვენა და მარცხენა ხელით მკლავჭიდში), თორნიკე სიმონია, ვანო ხარებაშვილი, ლაშა დორეული; ვერცხლის მედალი მოიპოვა ლაშა დორეულმა და გიორგი ჯუღელმა, ბრინჯაოს მედალი აიღო ასევე ვანო ხარებაშვილმა მარცხენა ხელით მკლავჭიდში.

**ათლეტიზმი**

3 დეკემბერს თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში, სადაც თსუ-ის გუნდმა დაიკავა პირველი გუნდური ადგილი. ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ: დიდი ბრიტანეთის, ირანის, ერაყის, თურქეთის, ინდოეთის, დანიის, გვატემალას, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნის ათლეტები. შეჯიბრი ათლეტიზმის ორ სახეობაში გაიმართა და თსუ-დან 15 ათლეტი მონაწილეობდა, მათ 9 ოქროს, 11 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი აიღეს.

გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა. ათლეტიზმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა გასული საუკუნის სამოციან წლებში კონსტანტინე ზაუტაშვილის მიერ. საქართველოს ცენტრალური რესპუბლიკური ათლეტური კლუბი "ამირანი" შეიქმნა 1980 წელს. 2007 წლიდან "ამირანი" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის და სპორტის ცენტრის შემადგენლობაშია. კლუბის პრეზიდენტია ზურაბ ჭავჭანიძე.

კონსტანტინე ზაუტაშვილის სახელთან არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ ზოგადად საქართველოში ათლეტიზმის განვითარებაა დაკავშირებული. დღეს თსუ-ის შემადგენლობაში მყოფი კლუბი "ამირანიც" თავისი წარმატებებით ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოირჩეოდა.

**ფუტსალი**

2011 წლის 17 დეკემბერს გაიმართა თბილისის ღია ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა ფუტსალში (Friendly Cup), სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდ „იბერია სტარის" წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეზა და ტურნირის ჩემპიონი გახდა.

ფუტსალის გუნდი 2006 წლიდან ჩამოყალიბდა თსუ-ში, რომლის ინიციატორები იყვნენ თსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი, ირაკლი ხარჯავანიძე და გიორგი შამათვა. საქართველოს ფუტსალის ნაკრები დაკომპლექტებულია თსუ-ის ფეხბურთის გუნდის მოთამაშეთაგან. ესენი არიან: ლევან კობაიძე, დავით ბობოხიძე, დავით ლუკავა, ლაშა სიგუნავა, შოთა ჭანუკვაძე, მურთაზ კაკაბაძე, თეიმურაზ ჯაფარიძე. დავით ბობოხიძე საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანია, კახა მაისაიაც ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს, იგი თსუ-ის სტუდენტია და ამჟამად აზერბაიჯანის ერთ-ერთ გუნდში თამაშობს. გუნდის მწვრთნელია ბესარიონ არველაძე.

გუნდს წარმატებები უხვად აქვს: 2010–2011 წლებში საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს და თასის ფინალშიც გავიდნენ. 2010 და 2011 წლებში თურქეთში (ყარსში) ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ფუტსალში თსუ-ის ფუტსალის გუნდმა ორივეჯერ პირველი ადგილი აიღო. 2011 წელს გაიმართა უნივერსიადა ფუტსალში, სადაც თსუ-ის ახლად დაკომპლექტებულმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. უნიბურთის ტურნირში, რომელიც ასევე 2011 წელს გაიმართა პირველი ადგილი აიღო თსუ-ის გუნდმა და ამავე გათამაშების თასიც მოიგო.

**ცოტა რამ ისტორიიდან**

სპორტული ცხოვრება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების პერიოდს უკავშირდება. პირველი სპორტული სახეობა, სატანვარჯიშო სპორტული საზოგადოება "შევარდენი" უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1918 შეიქმნა. იგი აერთიანებდა მძლეოსნობის, ძალოსნობის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, სროლის სექციებს. ამას მოჰყვა ჭადრაკი, ალპინიზმი, კალათბურთი, მშვილდოსნობა და ა.შ.

1952 წელი ჰელსინკის მე-15 ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული დღემდე უნივერისტეტის სტუდენტები ყველა ოლიმპიურ თუ მსოფლიო ჩემპიონატებში იღებენ მონაწილეობას და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც აღწევენ. თვლა საკმაოდ სარისკო საქმეა – უნივერსიტეტელი მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონების სია ძალზე გრძელია. მაგალითისთვის სულ რამდენიმე გვარის დასახელებაც კმარა: თსუ-ში სწავლობდნენ ფეხბურთელები მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, ილია დათუნაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ჩოგბურთელი ალიკა მეტრეველი. მოჭადრაკეები: ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, გია გიორგაძე, მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, შავლაყაძე; ასევე სანეევი (მძლეოსნობა), ასათიანი (ფარიკაობა), ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა) ლევან თედიაშვილი, კურტანიძე და ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა), ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ხუბულური და ზვიადაური (ძიუდო), დერიუგინი (კალათბურთი), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) და სხვები და სხვები.

# ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი"



ცეკვის ანსამბლი "უნივერსიტეტი" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1934 წელს ჩამოყალიბდა. წლების მანძილზე იცვლებოდა ხელმძღვანელობა და ანსამბლის შემადგენლობა, მაგრამ პოპულარობას, რომელიც დიდი შრომის შედეგად მოიპოვა, ანსამბლი დღემდე ინარჩუნებს. ამ პერიოდის განმავლობაში ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ ქართული ცეკვის გამოჩენილი ქორეოგრაფები: ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე, რომან ჭოხონელიძე, იასონ ზედაშიძე. დღეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თენგიზ ყურაშვილი, ხოლო მთავარი ქორეოგრაფი - დავით კიკვაძე.

ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი" 35 წევრისგან შედგება. მათ შორისაა 11 გოგონა, 17 ვაჟი, ოთხი აკომპანიატორი და 3 ხელმძღვანელი. გარდა ამისა, არის ანსამბლი "უნივერსიტეტი 2", რომელიც 16 წლის ასაკის მოზარდებისაგან შედგება. აქ 27 ვაჟი და 18 გოგონაა. ბატონი დავითი ძალიან დიდ იმედებს ამყარებს "უნივერსიტეტი 2"-ის ბავშვებზე. აქ ხომ „უნივერსიტეტის" ღირსეული ცვლა იზრდება.

ანსამბლი „უნივერსიტეტი" ძირითადად ჯავახიშვილის სტუდენტებითაა დაკომპლექტებული, თუმცა აქ ცეკვის უფლების მოპოვება სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ. მაგრამ თსუ-ის ანსამბლში მოხვედრა არც თუ ისე ადვილია. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ცხადდება კონკურსი სადაც ხდება მოცეკვავეების მკაცრი შერჩევა. რეპეტიციები საღამოს იწყება, რაც სტუდენტებს სწავლის და ცეკვის შეთავსებაში ეხმარება. მოცეკვავეთა ნაწილმა უკვე დაამთავრა თსუ, თუმცა ანსამბლში მოღვაწეობას აგრძელებს. უნივერსიტეტი თავის მხრივ აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევს ანსამბლს. მის საგასტროლო მოგზაურობას სრულად აფინანსებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს რომ ქართულ კულტურას რაც შეიძლება მეტი ქვეყანა აზიარონ.

ანსამბლის რეპერტუარი მთლიანად მოიცავს საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიულ ფოლკლორს.

# „გორდელა"

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი „გორდელა" 2012 წლის ზაფხულში თავისი მეოთხე დაბადების დღეს აღნიშნავს.

თსუ-ის „გორდელა" „არტგენის" მუდმივი მონაწილეა. 2010 წელს გუნდი კონკურს „სოფლის მაშენებლის" საპატიო ტიტულის მფლობელი გახდა. 2011 წელს „გორდელა" „სტუდენტური დღეების" საუკეთესო ფოლკლორულ გუნდად დასახელდა.

„გორდელას" ეტიმოლოგიის ერთბაშად ორ ვერსია არსებობს. პირველი უქარქაშო ხმლიდან, გორდადან მოდის. მეორე ვერსიით კი გორდელა თურმე დასავლეთში მრავალხმიან სიმღერას ერქვა. დღეს „გორდელას" შემადგენლობაში 9 გოგონაა. ასაკი თექვსმეტიდან ოცდახუთ წლამდე.



გოგონები უშუალოდ გუნდის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის მიერ შეირჩნენ, ძირითადად ვოკალური მონაცემების მიხედვით. გუნდის ხელმძღვანელი სიამაყით ამბობს, რომ ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა გოგონებმა ძირითადად გუნდში მისვლის შემდეგ ისწავლეს. დღეს გუნდის ყველა წევრი ყველა ინსტრუმენტზე უკრავს. მათ შორის ფანდურზე, ჩონგურზე, დუდუკებზე, დოლზე, გარმონზე, ჭიბონზე (გუდა–სტვირი), სალამურზე, ლარჭემ–სოინარზე (მრავალლულიანი სალამური), ჭუნირზე (ჭიანური) და ა.შ. "გორდელას" ქორეოგრაფიულ იერზე ცნობილი ქორეოგრაფი თენგიზ ყურაშვილი ზრუნავს.

# თეატრი „სხვენზე"

სტუდენტური თეატრი „სხვენი" 2000 წლის 15 სექტემბერს შეიქმნა რეჟისორების – გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურჩიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის – თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით. „სხვენის" შემადგენლობა სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული და ეს დასის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაცაა. თუმცა, დღეს არის რამოდენიმე პროფესიონალი მსახიობი, რომლებიც უანგაროდ და უსასყიდლოდ ეხმარება დასს (ირაკლი სანაია, ვატო ქვანია და სხვა).

დასი სულ ძიების პროცესშია. დღეს „სხვენის" შემადგენლობაში 25 ძირითადი მსახიობია. ბატონი გიორგი ცდილობს, რომ ყველა მსახიობი დააკავოს როლზე. მათ რეპეტიცია ყოველდღე აქვთ. რეპეტიცია ორი ნაწილისაგან შეგდება: პლასტიკისაგან და უშუალოდ სპექტაკლზე მუშაობისგან. თავდაპირველად „სხვენი" პლასტიკის თეატრი იყო, დღეს კი დრამატულ ჟანრშიც მუშაობენ. თსუ პლასტიკის თეატრის სარეპეტიციო დარბაზი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის სხვენში იყო. სახელწოდებაც ადგილმდებარეობის მიხედვით შეირჩა.

# ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი"

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი" წარმატებით აგრძელებს ანსამბლ „უნივერსიტეტის" (დღეს „ქართული ხმები") ტრადიციებს. ანსამბლი შედგება 12 მომღერლისაგან. ხელმძღვანელი – გამოჩენილი ლოტბარი, ანსამბლ "ქართული ხმები"-ს სოლისტი ვ.დოლიძე. ანსამბლი მონაწილეობს როგორც საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ყველა ფოლკლორულ ღონისძიებაში.

ანსამბლის რეპერტუარშია საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერები. „უნივერსიტეტი" ინტენსიურად მუშაობს ძველი ქართული სიმღერების მოძიებასა და მის დამუშავებაზე, მაგრამ მის რეპერტუ-



არში არის თანამედროვე კომპოზიტორთა სიმღერებიც.

ანსამბლი "უნივერსიტეტი" თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით ალამაზებს და ღირსეულად წარმოაჩენს უნივერსიტეტის სტუდენტურ ხელოვნებას, რაც ფრიად საამაყოა ჩვენი უნივერსიტეტისათვის.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge